



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 1012

თბილისი

„03“ 08 2019 წ.

„ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის
30 ივლისის N979 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამის „საერთაშორისო
თანამშრომლობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში
საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის შერჩევის მიზნით კონკურსის
გამოცხადების, შერჩევის კრიტერიუმებისა და ვადების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის
შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14
სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის
მე-2 პუნქტის „ა“, „ლ“ და „რ“ ქვეპუნქტების, „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების
პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 ივლისის N979 ბრძანების პირველი პუნქტით
დამტკიცებული პროგრამის „საერთაშორისო თანამშრომლობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში
გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის
შერჩევის მიზნით კომისიის შექმნისა და კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 2
აგვისტოს N991 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის,
„ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30
ივლისის N979 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამის „საერთაშორისო
თანამშრომლობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში გაერთიანებული ერების მიზნით შექმნილი კომისიის 2019 წლის 7
აგვისტოს სხდომის ოქმი N1 საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 7 აგვისტოს N1026314
სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“
დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
მინისტრის 2019 წლის 30 ივლისის N979 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული

- პროგრამის „საერთაშორისო თანამშრომლობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის შერჩევის მიზნით.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2019 წლის 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.
3. საკონკურსო განაცხადი, რომელიც უნდა მოიცავდეს რეზიუმეს, ანალიტიკურ ესეს (ინგლისურ ენაზე) და სამოქმედო გეგმას (ინგლისურ ენაზე), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აღმინისტრაციაში (დეპარტამენტი) დადგენილი წესით წარდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (ერთ ეგზემპლარად) და ელექტრონული სახით (კომპაქტ დისკი).
4. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირების შერჩევის კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
5. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).



მიხეილ ბატიაშვილი

ესეს შეფასების გრაფა:

აპლიკანტის სახელი:

5=ბრწყინვალე 4=საშუალოზე მაღალი 3=საშუალო 2=საშუალოზე დაბალი 1=ცუდი/არასრული

კრიტერიუმები	5	4	3	2	1	ქულა
თემის გააზრება და დასმული კითხვისადმი რელევანტურობა	სიღრმისეული გააზრება: თემასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები ძალიან კარგად არის იდენტიფიცირებული. თემა შეესაბამება სათაურს, დასმულ შეკითხვას.	კითხვასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები ადეკვატურად არის იდენტიფიცირებული. თემა ადეკვატურად შეესაბამება სათაურს/დასმულ კითხვას.	ძირითადი ცნებები ნაწილობრივ იდენტიფიცირებულია. თემა არის რაღაც შესაბამისობაშიდა სმულ შეკითხვასთან.	თემაში კითხვა არ არის განხილული და ბევრი შეუსაბამო ინფორმაციაა	თემის განხილვა საერთოდ არ არის; მთლიანად შეუსაბამო ინფორმაცია	
სტრუქტურა	თემა ძალიან კარგად არის სტრუქტურირებული; ძალიან კარგი შესავალი, განხილვა და დასკვნა. გამყარებულია ბევრი არგუმენტებით და ინფორმაციით	თემა კარგად არის ჩამოყალიბებული; შეიცავს კარგ შესავალს, განხილვას და დასკვნას. საკმარისი არგუმენტები და ინფორმაცია	სტრუქტურირებულია; შეიცავს შესავალს, განხილვას და დასკვნას. ცოტა არგუმენტი და ინფორმაცია	თემის სტრუქტურა არ არის დაცული და შეიცავს ძალიან ცოტა არგუმენტი და ინფორმაციას	მთლიანად არასტრუქტურირებული, არ შეიცავს არც შესავალს განხილვას და დასკვნას. არააერი არგუმენტები და ინფორმაცია	
აზრის ჩამოყალიბების ეფექტურობა	აპლიკანტის აზრი ცხადად და მთლიანად არის გამყარებული ბევრი ფაქტებით.	აზრები ცხადად არის გამყარებული ფაქტებით	თვალსაზრისი გამყარებულია ძალიან ცოტა და არამყარი ფაქტებით	აზრი გამოხატულია ბუნდოვნად. ფაქტობრივი ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი	თვალსაზრი ისი არ არის დაფიქსირებული ინფორმაცი ა საერთოდ არ არის წარმოდგენ	

					ილი	
შემოთავაზების კრეატიულობა და ხარისხი	ძალიან უნიკალური და ორიგინალური მსჯელობა/დისკუსია; ძალიან კრეატიული შემოთავაზება	ორიგინალური მსჯელობა და კრეატიული შემოთავაზება	განხილვა/მსჯელ ობა გარკვეულწილად ორიგინალურია; კრეატიული შემოთავაზება არც ისე ძლიერია	მსჯელობა თითქმის არ არის ორიგინალური ; კრეატიულობა შეზღუდულია	ორიგინალ ურობა და კრეატიულ ობა არის ძალიან სუსტი ან საერთოდ არ არის	
სტილი	ლიტერატურული სტილი მთლიანად ცხადია და ეფექტური; ენის ფლობა ძალიან კარგი	ლიტერატურული სტილი ნაწილობრივ ცხადია და ეფექტური; ენის ფლობა კარგი	ოდნავ სიცხადე დემონსტირებულ ია; ენის ფლობა სუსტი	ბუნდოვანი წერის სტილი, მაგრამ მაინც გასაგები; ენის ფლობა ძალიან სუსტი	მთლიანად ბუნდოვანი ; ენის ფლობა ძალიან სუსტი.	

შემფასებლის სახელი: -----

შეჯამებული ქულა: -----

გასაუბრების შეფასების ცხრილი

მაქსიმალური ქულა თითოეულ კომპონენტში - 5

